ცნობის ფურცელი

№ 1695 | ყოველ-დღიური გამოცემა | 1896—1902 | შაბათი, 12 იანვარი | № 1695

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელზე“

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადში ცხრა)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადში შვიდი)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც **„მოამბე“**-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი №** 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ქართული თეატრი

კვირას, 13 იანვარს, 1902 წელს.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

მ. მ. საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით

ალ ლ უ მ ი

კომედია 4 მოქმედ.

II

პირველად ახალი პიესა

სირცხვილია

კომედ. ხუმრ. 1 მოქ.

მონაწილეობენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოკი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება მ. საფაროვის საბენეფისოდ: „თამარ ცბიერი“, „ტუყე“ „დასჯილი“

რეჟისორი **ვ. გუნია**

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლის“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშ ბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით დაშაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი №** 274. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ახალი კანონი ბერების კრებულების შესახებ ჭკუაში არ მოუვიდათ იეზუიტებს. ამათ გამოაცხადეს, ახალ კანონს არ დავემორჩილებითო და ზოგი მათგანი საფრანგეთიდან გადასახლდა, ზოგი კიდე შინ დარჩა და ისევ თავის წინანდებურ მოქმედებას განაგრძობს. ეხლა გაზ. „მატენ“-ი იუწყება რომ სასამართლოს მოხელეებმა პარიზში, ლიონში, ბორდოში და მარსელში სამართალში მისცეს ეს კანონის მოწინააღმდეგე იეზუიტებიო. ამათ ახალი კანონის დარღვევა ჰბრალდებათ. ამ დამნაშავე იეზუიტთაგან პარიზში თურმე სამი მასწავლებლად იყო კათოლიკეთა უნივერსიტეტში, ორი კიდე მქადაგებლად; ამათში განთქმული მამა დიუდკიც ურევია. ეს დიუდკი დიდ როლს თამაშობდა დრეიფუსის საქმეში.

✡ ფირმინში ახალი სავაჭრო-სამრეწველო სასწავლებელი გახსნეს. ამის გამოისობით ნადიმი გაემართათ. ამ ნადიმს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი მილიერანიც დასწრებოდა და სიტყვაც წარმოეთქვა. მილიერანს ი'ის თაობაზე ულაპარაკნია, თუ რისთვის შევიდა ვალდეკ-რუსოს სამინისტროში. მილიერანს ეთქვა:

„სოციალისტები უსათუოდ უნდა შესულიყვნენ ეხლანდელ სამინისტროში, რადგანაც რესპუბლიკას დიდი საფრთხე მოელოდა. მაგრამ იმას კი ნუ იფიქრებთ, ვითომ როცა ეს საფრთხე აჰშორდება რესპუბლიკას, მაშინ მუშების დასმა მონაწილეობა აღარ უნდა მიიღოს მმართველობის საქმეშიო. სოციალისტების დასმა დიდი ხანია შეიგნო, რომ დიდ დანაშაულს ჩაიდენს ის, ვინც ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება მოქმედებს, საზოგადო საქმეებში მონაწილეობას არ მიიღებს არც თუ დიდ სარგებლობას მოიტანს ის მოღვაწე, ვინც საზოგადო მოღვაწეობაზე ხელს აიღებს და მხოლოდ რევოლიუციის შემწეობით ჰსწადიან სწორე სამართალს და მშვიდობიანობას გზა გაუკაფოს. სოციალისტების დასი მამაცად შეუდგა თანა მოქალაქეების აღზრდას და ცდილობს, რომ საზოგადოებრივი ძალა ხელში ჩაიგდოს. მისი წარმომადგენელნი დიდ მხნეობას იჩენენ საქალაქო საბჭოებში, ადგილობრივ კრებებში და პარლამენტში, მაშ სახელმწიფო საქმეებში რატომ აღარ უნდა მიიღონ მონაწილეობა? თუ სოციალისტების დასს სწადიან დასად დარჩეს, მთავრობის მოვალეობასა და პასუხის გებასაც თავი არ უნდა მოარიდოს. სოციალიზმი უმაღლესი და კეთილი საქმეების ასრულებას ცდილობს; სწადიან დემოკრატიული რეფორმები შეასრულოს, ხალხი უვიცობისა და ბოროტების მონობისაგან განთავისუფლოს და უვლას წილი დაუდოს საზოგადოებრივ დოვლათში. სოციალისტების დასს სწადიან მთელ ქვეყნიერობაზე ყველა წესები გამოსცვალოს. ამიტომ ჯერ იმ საზოგადოების წესები უნდა გამოიცვალოს, სადაც თითონა სცხოვრობს. სოციალისტები ძალა-უნებურად გარკვეულ გზას უნდა დაადგნენ საშინაო, საგარეო და კოლონიალურ პოლიტიკაში. უკეთესი წესების შემოღების და იდეალის ასრულების წადილი და ეხლანდელი დროის საჭიროებისათვის ზრუნვა—ეს ორივე საქმე ერთმანეთს უნდა შეათანხმონ სოციალისტებმა. ესაა სწორედ სოციალისტების დასის დანიშნულება“.

დასასრულ მილიერანმა დაუმატა, რომ მომავალ არჩევნების დროს სოციალისტებმა სხვა რესპუბლიკელებს უნდა მისცენ მხარი და საერთოდ მონარქისტებსა და პლებისციტარულ რესპუბლიკის მიმდევრებს უნდა ებრძოლონო.

ინგლისი. კემპბელ-მანერმანმა, როგორც გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით, ლონდონის ლიბერალური ფედერაციის კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია ლორდ როზბერის ლიბერალურს დასს მიმხრობოდა და ამ დასთან ემოქმედნა. ინგლისური გაზეთები ნაირ-ნაირ აზრს გამოსთქვამენ ამ სიტყვის შესახებ. ლიბერალური დასის უმთავრესი გაზეთი „დაილი ნიუს“-ი ოპოზიციის წინამძღოლს ეთანხმება. გაზეთი ამბობს:

„თუ ლორდ როზბერი ლიბერალურ დასთან არ იმოქმედებს, მაშინ დასმა უიმისოდ უნდა იმოქმედოს. თუ ლორდ როზბერი მოითხოვს,

ფელეტონი

შენიშვნები ბათუმის შესახებ

ნავთის ქალაქის დაფუძნება ბათუმში

ამ მოკლე დროში ბათუმში დაფუძნდება ეგრედ წოდებული „ნავთის ქალაქი“, რომელიც სრულიად შესცვლის ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს. საქონლის დღევანდელი სადგური სრულიად მოიშლება და აქ „ნავთის ქალაქი გაშენდება. რკინის გზა ბარცხანიდან მიხაილოვის ქვევითა ბატალიონის ყაზარმების წინ გაივლის და ყახაბრის მთის ძირისკენ გაემართება. აქ გაშენდება მგზავრთა და საქონლის სადგურები.

ყოველივე ეს შემდეგ გარემოებათ გამოიწვიეს. ბათუმის სანავთო ქარხნები დღეს თითქმის შიგ ქალაქშია მოქცეული; აქვე, ციხის სიმაგრეების წინ, წამოჭიმულია ვეება რეზერვუარები და ყუთების საკეთებელ ხის მასალის დიდ-ძალი საწყობები. სამხედრო უწყებას ასეთი მეზობლობა,—ამდენი ნავთისა და ხე-ტყისა—მუდამ საშიშრად და მოუხერხებლად მიაჩნდა და ამის შესახებ კიდევაც აღძრა ლაპარაკი უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა ასეთი საშიშარი მეზობელი მოეშორებინათ სიმაგრეებისათვის და სხვაგან გადაეტანათ.

ამ შუამდგომლობას მოჰყვა 1891 წელს, 11 ივლისს, უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომლის ძალით მოზრდილ ახალ რეზერვუარების აგება აიკრძალა და ქარხნის პატრონებს სამის წლის ვადა ეძლეოდათ, ამ ხანში ან მოაწყონ თავიანთი ქარხნები თანახმად ახალის კანონისა, ანა და ისინი ქალაქს გარეთ გაიტანონ.

ქარხნების პატრონებსაც და ქალაქსაც მეხივით დაეცათ თავს ეს განკარგულება. პირველთათვის ყოვლად შეუძლებელი იყო აესრულებინათ ახალი მოთხოვნილება ქარხნების მოწყობაში; აყრა, ქალაქს გარეთ გატანა, ახალ ადგილას ქარხნის მოწყობა—ეს საქმეზე ხელის აღებას უდრიდა,—უდრიდა სრულიად დამხობას, ქალაქი-კი ქარხნების მოშორებით დიდ-ძალ, მის მასულდგმულებელ, შემოსავალს ჰკარგავდა: ჰკარგავდა ყოველწლივ 150.000 მანეთამდის. ამიტომაც ქალაქის თვით-მმართველობამ თავი გამოიდო და ნავთის ქარხნების პატრონებთან ერთად მიჰმართა უმაღლეს მთავრობას, რომ იგი შესულიყო ქალაქისა და ქარხნების პატრონების მდგომარეობაშიაც და გამოცემული კანონის მოთხოვნილებათა ასრულება არ დაევალებინა ბათუმის ნავთის ქარხნებისათვის.

თავის თხოვნაში ქალაქი სწერდა—ყოვლად შეუძლებელია ეს განკარგულება ასრულდეს ეკონომიურისა, ტოპოგრაფიულისა, იურიდიულისა და სამხედრო მიზეზთა გამო, რომელთ აცილება თავიდან ყოვლად მოუხერხებელია; ქალაქს დასჭირდება გამორკვევა ისეთ ახლართულ-აბურდულ საქმეებისა, როგორიც არის ადგილ-მამულების საქმე. ამიტომ არ შეიძლება იმ დასკვნამდის არ მივიდეთ, რომ ახალი კანონის ბრძანებათა სისრულეში მოყვანის დაძალება ბათუმის ნავთსადგურიდან ნავთის გატანის აკრძალვის თანასწორი იქნება, რაც არ უნდა ეთანხმებოდეს მთავრობის განზრახვათ, რადგან ბათუმის ნავთსადგური მისგანვე აშენებულია საგანგებოთ ნავთის საჭიროებათა მიხედვით... მაგრამ თუ გადატანა ქარხნებისა ესეთი ძნელი და მოუხერხებელი საქმეა, მათი დატოვება იმ სახით, როგორც ახლაა, არ შეიძლება; ამიტომ საჭიროა მოინახოს ისეთი გზა, რომ მრეწველობას არ აზარალოს, არ შეზღუდოს იგი და ქალაქიც ცეცხლისაგან უზრუნველი იყვეს ცეცხლის მხრივ. ამისათვის სრულიად საკმაოა გაწესდეს ცალკე უბანი, რომელსაც დაერქვას „ნავთის ქალაქი“, და ქალაქის თვით-მართველობამ იმ ადგილის საზღვარიც აღნიშნა, სადაც უნდა დაარსდეს ეს „ნავთის ქალაქი“—ადგილი, რომელზედ დღეს მოთავსებულია ნავთის ქარხნები და რკინის გზის საქონლის სადგური.

ქალაქის თვითმართველობის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. უმაღლესად დაინიშნა კომისია ბათუმში ნავთის ქალაქის დასაარსებლად. ამ მთავარმა კომისიამ დააარსა მცირე კომისია ნ. პ. ზაბუგინის თავმჯდომარეობით და გამოგზავნა ბათუმში ადგილობრივ საქმის გამოსარკვევათ და საჭირო მასალის შესაკრებათ. სხვათა შორის, ამ მცირე კომისიას დავალებული ჰქონდა: 1) შეედგინა გეგმა ახლანდელი ნავთის ქალაქისა; 2) გაცნობოდა ნავთის გაზიდვის არსებულ წეს-რიგს; 3) გამოერკვია ბათუმის ნავთსადგურის მნიშვნელობა საზოგადო ვაჭრობაში, ნავთის მრეწველობის გარეთ; საჭიროებანი [illegible] რობისა და რა საშუალებანი შეუწყობენ ხელს მას და სასურველ წარმატებას მისცემენ ისე, რომ ნავთის გაზიდვას [illegible] და რა; 4) ამოერჩია ადგილი ნავთის [illegible] რეზერვუარების გადასატანათ, [illegible] მოეყვანა, თუ რა ხარჯს [illegible] რეზერვუარების აგება ახალ ადგილას. [illegible] კომისია ჩამოვიდა ბათუმს 1898 [illegible] ვარში, ადგილობრივ გაეცნო [illegible] ყოველივე მოგროვებული მასალა [illegible] ზრებასთან [illegible] ვეება წიგნად [illegible]

რომ მთავრობამ ბურებთან ზავი ჩამოაგდოს, ამითაც კარგ დახმარებას გაუწევს ლიბერალურ დასს. თუმცა ლორდ მილნერს გასაგონადაც ეჯავრება ეს მორიგება, მაინც ლორდ როზბერიმ სამართლიანად დაჰგმო ის საზიზღარი და უჭკუო ბოროტ-მოქმედება, რასაც სამხრეთ-აფრიკის დამღუპველ ომის სახელი დაარქვეს. ლიბერალები ლორდ როზბერის ძლიერ ჭკუის და გამოცდილ სახელმწიფო კაცად სთვლიან. ლიბერალებმა ამ ჟამად თავდაპირველად თავიანთ დასის შეერთება უნდა მოინდომონ. სანამ ლიბერალები წინანდებურად არ შეერთდებიან, მანამდე ეს დამღუპველი ომიც არ გათავდება“.

პირიქით, უნიონისტების გაზეთები ირწმუნებიან, რომ ლორდ როზბერი არას დროს არ მიემხრობა კემპბელ-ბანერმანსაო.

☼ ლიბერალ-იმპერიალისტების მეთაურს ასკვიტსაც ულაპარაკნია. ქალ. ჰანლეიში 1 იანვარს ასკვიტს უთქვამს: ლორდ როზბერის სიტყვა (ჩესტერფილდში რომ წარმოსთქვა) დიდად მოსაწონიაო. როზბერის ნალაპარაკევი ბურებთან ზავის ჩამოგდებასაც შეუწყობს ხელსა და ლიბერალური დასის შეერთებასაცაო. დასასრულ ასკვიტს აღტაცებით ულაპარაკნია ინგლისის ჯარზე, მის ამტანობასა და კაცთ-მოყვარეობაზე. ისე ექო, რომ სულ ცაში უფრენია. ასკვიტის აზრით, არც ერთი ქვეყნის ჯარი არას დროს ისე კაცთ-მოყვარულად არ მოქცეულა, როგორც ინგლისის ჯარი იქცევა სამხრეთ-აფრიკაშიო.

ავსტრ-უნგრეთი. პანგერმანისტი ვოლფი ისევ აურჩევიათ დეპუტატად.

☼ პოლონელების კლუბში იავარსკიმ გამოაცხადა, რომ გალიციის სეიმს არაფერი უკანონობა არ ჩაუდენიათ მით, რომ პრუსიის მთავრობას პოლონელების დევნის თაობაზე პროტესტი გამოუცხადათ. კრიჟანოვსკიმ სთქვა კიდევ, რომ პოლონელებს გერმანიის ერის მტრობა სრულებით არ ედოთ გულშიო; მარტო პრუსიის მთავრობას გამოუცხადეს პროტესტიო. გალიცია ვერ წავა იოლას, თუ გერმანიიდან საქონელი არ გამოიწერა, მაგრამ პრუსიის ბადლად, სამხრეთ-გერმანიიდან გამოიწერსო. კლუბის მეორე წევრმა გამოაცხადა, რომ კონსერვატორებს ჭკუაში მოსდით კრაკოველი ვაჭრების დადგენილება—გერმანიასთან აღებ-მიცემობა შევწყვიტოთო.

☼ კონსერვატორებსაც და ბევრ სხვა პოლონელსაც ჭკუაში მოჰსვლიათ კრაკოველი ვაჭრების აზრი და დაუდგენიათ, გერმანიიდან ნურა საქონელს ნუღარ გამოვიწერთო. მაგრამ პოლონელი დემოკრატები უფრო ფრთხილად უყურებენ თურმე ამ საქმეს და თავიანთ თანამემამულეებს ამშვიდებენ და ურჩევენ: გულის თქმას ნუ აჰყვებითო. პოლონელების ცნობილი მწერალი ბოლესლავ პრუსი სწერს ამის თაობაზე:

„ეჭვი არაა, რომ ვრესნას (სადაც პოლონელი ყმაწვილები გაეროზგათ) საქმეში ნამდვილად ვრესნის სკოლა, გნეზნის სასამართლო და ჰაკატისტების (პრუსიელი შოვინისტები, ვინც პოლონელების გაგერმანელებასა და სულაც განადგურებას ნდომობენ) დასი დამარცხდა. ეს დამარცხება უფრო ნამდვილი და ძლიერი იქმნებოდა, ჩვენ რომ—გულ-ახდით ვიტყვი—ფრთხილად მოვქცეულიყავით... მაგრამ პოლონურმა გაზეთებმა ყვირილი მორთეს: „ომი გამოუცხადოთ პრუსიას! თავს-ლაფი დავასხათ გერმანელებს“: მთელი გერმანიის ერი განურჩევლად შეაჩვენეს... ჭკუიანად და ფრთხილად რომ მოვქცეულიყავით, ვრესნას პროცესი გერმანელებში პოლონელების მეგობრების რიცხვს გაამრავლებდა. მაგრამ ჩვენ მტრობასა და ჯიბრს აუყევით და ამით მარტო ჩვენი მტრები გავაძლიერეთ. გალიციის ზოგიერთმა გაზეთმა მოურიდებლივ ომი გამოუცხადა გერმანელებს. რასაკვირველია, ეს ომი მხოლოდ სიტყვიერი ომი იქნება. მაგრამ გაკატისტებმა ხელზე დაიხვიეს ეს სიტყვები და ეხლა უფრო თამამად და ხმა მაღლა ეწინააღმდეგებიან პოზნანის პოლონელებს“.

შემდეგ პრუსია აღებ-მიცემობის შეწყვეტაზე ლაპარაკობს და მოსწრებულად შენიშნავს, რომ პოლონელებს ყველა მეზობელ ერებთან რაიმე ანგარიში აქვთო. უნგრელებთანაც კი დავა აქვთ. ერთის სიტყვით, საითაც კი მიიხედავ, ყველგან მტერი გვეჩხირება თვალში. ამიტომ თუ გვინდა რომ მარტო მეგობრებთან ვიქონიოთ აღებ-მიცემობა, მთლად ხელი უნდა ავიღოთ ამ აღებ-მიღემობაზე, რადგანაც ჩვენ მეგობრები არა გვყავს. ვრესნას ამბავი, რითაც საუკუნოდ თავს ლაფი დაისხა გაკატისტების დასმა (და განა ეს პირველია!), არაფერს საბუთს არ გვაძლევს საომისოდ, რომ გერმანიასთან აღებ-მიცემობა შევწყვიტოთ. რატომ?—იკითხავთ თქვენა. რატომ და მიტომ, რომ ჯერ თავ-და-პირველად არას დროს არ შეიძლება გაკატისტების ბრალი გერმანიის მთელს ერს მოვახვიოთ თავზე. გაკატისტები და გერმანიის თავად-აზნაურობა სულ სხვაა და მთელი გერმანიის ერი კიდე სულ სხვაა.

თავისი აზრის დასამტკიცებლად პრუსი იხსენებს ბებელისა და გრაფ არნიმის ცნობილს საუბარს ერთი სკოლელი ბავშვის შესახებ. ეს საუბარი ჩვენს გაზეთშიაც იყო გადმოთარგმნილი. როცა ბებელმა პურის ბაჟის წინააღმდეგ თავისი შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, სხვათა შორის, სთქვა, საქსონიაში ერთ სკოლაში მოსწავლე ბავშვს ენატრა: „ნეტავი მეც მოვკვდე და ცაში ავიდეო, იქ მშიერი მაინც არ ვიქნებიო“. ამ დროს კონსერვატორს გრაფ არნიმს უცებ წამოეძახნა: „აქნე:ა, მაგ ბავშვის მამა სულ ლოთობაში ჰფლანგავდა, რასაც ჰშოულობდაო!“ პრუსიც სწორედ ამ ამბავს იხსენიებს და თავის მხრივ უმატებს:

„განა ამ საუბრის შემდეგ, ეჭვი-და რჩება, რომ გერმანელ დემოკრატებსა და გრაფს არნიმს შუა დიდი ზღვარი დევს? ეს სულ სხვა-და-სხვა ხალხია, ან განა ის გერმანელი ბავშვი, საიქიოს წასვლას რომ ნატრობს, რადგანაც იქ მშიერი მაინც არ ვიქნებიო, განა ეს საბრალო ბავშვი ვრესნას მოსწავლე ბავშვებზე ნაკლები უბედურია? ერთის სიტყვით, თუ გაკატისტების თავნებობა, თავხედობა და სიბრიყვე გერმანიას საზიზღარ ლაღსა ჰკრავს, სამაგიეროდ გერმანიის მეცნიერება, წესიერება, შრომის მოყვარეობა, მხნეობა და დასასრულ გერმანიის მრეწველობის ნაწარმოები—ყველა ეს გერმანელების კარგ მხარეს შეადგენს. ამიტომ თავნებობასა და უსამართლობას უნდა თავის რიგზე ვებრძოლოთ, და ამავე დროს თამამად შეგვიძლიან გერმანიის საქონელი ვიყიდოთ, რადგანაც ეს საქონელი საზრდოს აძლევს, ჰმოსავს და ან შრომას უადვილებს ხალხსა“.

☼ ერთ პოლონელს ვაჭარს გალიციაში ამას წინად გერმანიიდან, ჰამბურგიდან ვაჭარ არნოლდისაგან საქონლის პრეის-კურანტი მოჰსვლოდა. პოლონელს მაშინვე ზედ წაეწერა „ვრესნა“ და უკანვე გაეგზავნა. რამდენიმე დღის შემდეგ პოლონელ ვაჭარს არნოლდისაგან ამნაირი წერილი მიუდო: „თქვენი ზედ-წარწერიდან ვხედავთ, რომ ვრესნის გამო დამიბრუნეთ პრეის-კურანტი. მოწყალეო ხელმწიფევ! განა ჩვენი მთავრობის ჯავრი ჩემზე უნდა ამოიყაროთ! განა ჩვენი მთავრობის ბოროტ-მოქმედებაში მე რაიმე წილი მიდევს? ძალით ხომ ვერ გაყიდვინებთ, მაგრამ ის მაინც მწადიან, რომ ჩემ მუშტრებთან ისევ მეგობრად დავრჩე და გთხოვთ, რომ ჩვენი მთავრობის ბრალს მე ნუ დამდებთ.“

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში სწერია (საფრანგეთი): „მარშალი მაკ-მაჰონის სახელი დააწერა“ და სხვ. უნდა ეწეროს: „გენერალი ბულანჟეს სახელი დააწერა“ და სხვ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 10 იანვარი

ქალაქის თავის პირველი არჩევნები საგუბერნიო ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა, რადგან თავ. ანდრონიკაშვილს წესიერი ცენზი არ ჰქონია. დღეს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი ხელმეორედ იქმნა არჩეული 24 ხმით წინააღმდეგ 1-სა.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 12 იანვარს, საქართველოს ეგზარხოსი **ალექსი** მიემგზავრება სიღნაღის მაზრაში, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში, სადაც 13 იანვარს აკურთხებს ახალს ეკლესიას წმ. იუვენალიას სახელისას: ხოლო 14 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულ დღეს, შეასრულებს წირვას მონასტრის საკრებულო ტაძარში.

✦ დღეს, 12 იანვარს, სახალხო **წარმოდგენებისა** და კითხვათა სადგომში ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ფრანგულიდან ნათარგმნ 5 მოქმედებიან მელოდრამას „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. წარმოდგენა საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე დაიწყება.

✦ ოდესელი ქართველი **სტუდენტები** სთხოვენ ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ჰსურთ შემწეობა აღმოუჩინონ მათ პროფესსორის ვ. მ. პეტრიაშვილის სახელზე სტიპენდიის დაარსების საქმეში, რაც შეიძლება დაჩქარებით გადასცენ „ივერიის“ რედაქციას, სადაც ამისთვის ფული გროვდებოდა, მათი შეწირულებანი და მათ-მიერ შეკრებილი თანხა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახლად დანიშნული საკონტროლო პალატის მმართველი **შტომბერგი** ამ თვის 20 რიცხვებში ჩამოვა ტფილისში.

✦ კავკასიის გზათა ოლქის უფროსი ბ. გუნევიჩი ამ დღეებში პეტერბურგს მიდის საქმეების გამო.

✦ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში აღმოაჩინეს ერთი ავადმყოფი, რომელსაც ციმბირის ჭირი სჭირს. ეს ავადმყოფი ქალაქელია. ამის გამო საექიმო გამგეობამ დაავალა ქალაქის ექიმს, რომ გამოარკვიოს, საიდან და როგორ შეხვდა ავადმყოფს ეს ავადმყოფობა, აგრეთვე გასინჯონ ის პირნი, რომლებიც ავადმყოფს გარს ეხვივნენ.

✦ გუშინ, 11 იანვარს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობის ხმოსან ექიმთა, რომელთაც მოილაპარაკეს შესახებ გადამდებ-ავადმყოფობის **ბარაკების გახსნისა**. შედგენილის ხარჯთ-აღრიცხვით ამ ბარაკებს დასჭირდება შესანახად წელიწადში 18,000 მან. შეერთებულმა საკრებულომ გადასწყვიტა, რაც შეიძლება, მალე გახსნან ეს ბარაკები და ამასთანავე განიხილონ და შეასწორონ ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ ქალაქის გამგეობაში შეიტანეს ექვსი თხოვნა, რომლითაც თხოულობენ ამიროვების სტიპენდიებს მოსკოვის უნივერსიტეტში. ამის გამო გადასწყვიტეს, რომ დაწვრილებითი გამოძიებით **უსაწყლესს** ყმაწვილებს მიუსაჯონ ეს სტიპენდიები; ხოლო ასე თუ ისე ცოტაოდნად შემძლებელთ სულ არ უყურიან კენჭს.

✦ 18 იანვარს პირველ კლასიკურ გიმნაზიაში გაიხსნება საზოგადო ლექციების კითხვა. ვისაცა სურს ლექციების მოსმენა წლის მეორე ნახევარში, შეუძლიან **ყოველ დღე ჩაეწეროს**.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ ნებართვა სთხოვა ბ. გუბერნატორს, რომ ქალაქის სახლი, რომელიც კონსულის ქუჩაზეა, დააგირაონ ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში, რათა ამ ფულით (50,000 მან.) შეუდგნენ **ცეცხლის მქრობელ** რაზმისთვის საკუთარი შენობის აგებას.

✦ 10 იანვარს, საღამოს 8 საათისათვის, ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნული სხდომა ქალაქის სასწავლებელთა **გამგე-კომისიისა** გადაიდვა სხვა დროსათვის, რადგანაც ამავე დღეს იყო დანიშნული სხდომა ქალაქის საბჭოსი. ხმოსანთა დაუსწრებლობის გამო საბჭოს სხდომა არ შესდგა და სასწავლებელის გამგე კომისიასაც ხელი შეეშალა, თუმცა ძალიან საჭირო საქმეები ჰქონდა განსახილველად დანიშნული.

✦ 19 იანვარს, ტფილისის სამხედრო შტაბის დარბაზში მოხდება სხდომა **ინჟინერ-ტეხნიკოსთა**, რომელთაც უნდა განიხილონ ტეხნიკურის მხრით პროექტი მულანლოს მინდორზე სარწყავ არხების გაყვანის შესახებ.

✦ ზოგიერთებმა განიძრახეს, რომ ინჟენერ ხანაგოვის მოგონილის ელევატორით ორთაჭალიდან წყალი **ამოიყვანონ** კრწანისის ბაღებს მოსარწყავად. ბევრი ბაღის პატრონი სიხარულით მიეგება ამ ამბავს და განაცხადეს, რომ როგორც ელევატორის დადგმა-მოწყობაში, აგრეთვე წყლის გასაყვან ხარჯში მონაწილეობას მიიღებენ.

✦ საპატიმროთა კომიტეტმა აღძრა კითხვა, რომ ტფილისის მეტეხის ციხისთვის

თავმჯდომარის ხელით წარუდგინა მთავარ კომისიას.

მოგროვილი მასალა მეტად საინტერესოა და ქართველ კაცისათვის კიდევ უფრო საინტერესო უნდა იყვეს, რადგან იმათში იხატება ბათუმი, რომელსაც, ყველამ ვიცით, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ახლა გადავიდეთ იმაზე, თუ რა მდგომარეობაში ნახა მცირე კომისიამ ნავთის ქარხნები …ში, რა ადგილი მოუნახა მას ქალაქის …ო და რა რიგათ იქნება მოწ… ბათუმის ნავთის ქარხნები. …არეობისა შეეხება

…ლია

…და …თუ- …ოებე- …ელოს-

…ნოები ეკუთვნოდნენ: ხაზინას—1, უცხოელებს—8, სომხებს—6 დანარჩენი სხვა-და-სხვა პირებს, რომელთ შორის, რასაკვირველია, არც ერთი ქართველი არ ერია და დღესაც არ ურევია.

მიწების ფასი ამ რაიონში დღითი-დღე იზრდება და მატულობს; 1899 წელს ოთხკუთხი საჟენი მიწა ფასობდა რვა მანეთიდან თხუთმეტ მანეთამდე; საიჯარო—ოთხ. საჟენი ორ-მანეთ ნახევრამდე ადიოდა წელიწადში. დღეს ეს ფასები თითქმის გაორკეცებულია, რადგან საიჯარო მიწის შოვნაც ძნელია. თავისუფალი ადგილები აღარ არის—გასაყიდი კი სრულიად აღარ მოიძებნება.

ბათუმის ნავთის ქარხნები მოწყობილია …რტის საჭიროებათა მიხედვით;—ნავთი …კნება გემებში გადაღებით და ყუთებით; … გამო ქარხნებიც ორ-ნაირია: 1) ყუთე…თ მგზავნელი და 2) გემით მგზავნელი. ნავთის მინერალური ნარჩომიც ამგვარადვე იგზავნება. გასაზიდავად მომზადებული ნავთი ინახება დროებით, ინახება გაგზავნამდის, რეზერვუარებში, უზარ-მაზარ ქვაბებში, რომელშიაც თავსდება 30.000—25.000 ფუთამდის ნავთი. 1899 წელს ამ რეზერვუარების რიცხვი იყო 172, რომელშიაც შეიძლებოდა 14 მილიონ ფუთი ნავთის შენახვა-შეგროვება .*)

ბაქოდან ვაგონებით მილებულ ნავთის ჩადასალებად გემებზე მექარხნეებს მოწყობილი აქვთ ნავთის გადამღები საქაჩავი მანქანები. ამ საქაჩავი მანქანებით მიღებული ნავთი გადააქვთ რეზერვუარებში და შემდეგ აქედან გემში, როდესაც უკანასკნელი მოვა წასაღებად. ეს საქაჩავი მანქანები სხვა-და-სხვა სიდიდისა და ძალისაა.. არის საქაჩველი, რომელიც ექვს გოჯიანი მილით, ერთი საათის განმავლობაში ქვაბრეზერვარში ჩაასხმს 9000 ფუთამდის ნავთს და ქარხნიდან გადაქაჩავს ნავთსადგურში გემზედ ამავე ერთ საათში 8000 ფუთს ნავთს. ზოგიერთ ქარხნებს აქვთ ისეთი ძლიერი საქაჩველები, რომ მათის შემწეობით, რვა გოჯიან მილით, 12000 ფუთი ნავთი ჩაისხმება რეზერვუარში ერთი საათის განმავლობაში და ამავე ერთი საათის განმავლობაში ამგვარივე მილით გადაქაჩავს ქარხანიდან გემზედ 10,000 ფუთს. ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქაჩველი მანქანა ისეთი ღონისაა, რომ ერთი საათის განმავლობაში 18000 ფუთ ნავთს გადაქაჩავს ხოლმე ნავთსადგურში გემზედ.

ნავთის სადენი მილები რკინისაა; მილი მილზედ მიჭახრაკებულია. მილები სხვა და სხვა ზომისაა. მილები გაყვანილია ნავთ-სადგურში, ჩაფლულია მიწაში ისე, რომ თავები გამოჩენილი აქვთ მხოლოდ გემების მისადგომ პირებზედ; ამ თავებზედ მიაჭახრაკებენ რეზინის ან სპილენძის მილებს, ან შლანგებს, როგორც ამას უწოდებენ, ამ შლანგების ბოლოებს გემში ჩაყოფენ და ამით ასხმენ ნავთს გემში.

გემები სხვა და სხვა სიდიდისა და ზომისაა. ამათში ყველაზედ უფრო დიდი გემები ეკუთვნის „სამუელ სამუელსონის და ამხ.“ ფირმას. ამ კომპანიას აქვს ისეთი გემები, რომელთ ერთბაშათ მიაქვთ გემში ჩასხმული 527.000 ფუთი ნავთი. ამ ვეება გემებს ბათუმიდან ნავთი გააქვთ შორეულ აღმოსავლეთში. ამ გემებს აქვთ სამი სართული პალუბა, რის გამო შიგ ჩასხმული ნავთი აშორებულია მზის მცხუნავ სხივებს; სამაშინო განყოფილება და გემზედ მოსამსახურეთა სადგომები განცალკევებულია. გემებზედ აქვთ ამოსაქაჩავი პომპები, რომლებით ერთ საათში შეუძლიათ 20.000 ფუთი ნავთის ამოსხმა გემიდან.

ნავთის გამტან გემთა რიცხვი 1899 წლისათვის იყო ოთხმოცამდე და ყველაში ერ-

*) [illegible] რეზერვუარ[illegible] 20 [illegible] და ნავთსაც 20 [illegible] ფუთამდე ჩა[illegible].

წყალი **ამოიყვანონ** მტკვრიდან ინჟენერ ხანაგოვის მოგონილის ელევატორით.

✦ ქალაქის გამგეობამ გამოსაცდელად სამი ფარანი დასდგა ქუჩების გასანათებლად; ეს ფარნები ინჟინერ გალკინის გამოგონებულია. გამოცდამ აჩვენა, რომ ეს ფარნები **მალიან სასარგებლოა** ქალაქის მოედნების გასანათებლად, რადგანაც თითო ფარანი უდრის 18 კეროსინის ფარანს. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს საბჭოს ამ ფარნების შეძენა ქალაქის ყველა მოედნების გასანათებლად.

✦ 14 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში დანიშნულია გასარჩევად სადავო საქმე ქალაქსა და ქანანოვს შუა, შესახებ მიწების მფლობელობისა ნავთლუღში მამუკას სოფლის ახლო.

✦ ჩვენ გვატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ ფინანსთა სამინისტროში აღძრულა კითხვა, რომ სპილენძის ფული **შეიცვალოს** ალიუმინის ფულით.

✦ ქალაქის გამგეობაში შეტანილი იყო მოხსენება ქალაქის აფთიაქის მოიჯარადრეთ ძმ. ენიკოლოფოვთა მაზე, რომ წლიური იარდასახადი, 5,000 მან. **შეუმცირონ** 3,000 მანეთამდე. ამ მოხსენების განხილვის შემდეგ ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა მთხოვნელებს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა გამოუცხადა ფოტოგრაფიის პატრონს ედუარდ კლარს, რომ უმაღლესის ნებაყოფლობით იმას ნება ეძლევა **წარუდგინოს** ხელმწიფე იმპერატორს ალბომი სურათებით, რომლებიც გადაღებულია მისგან 44 დრაგუნის პოლკის 200 წლის იუბილეის გამო.

✦ სენაკის მაზრის სოფ. მარტვილის მცხოვრები ყარამან რევია, 10 იანვარს, სენაკისავე მაზრის მცხოვრების გიორგი ლოგუას დუქანში (ავჭალის ქუჩაზე) ნაშუადღევის 3 საათზე უეცრად წაქცეულა და გარდაცვლილა. ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გვამის შემოწმებით აღმოჩენილა, რომ საბრალო ალკოჰოლიზმის მსხვერპლი ვამხდარა.

✦ გუშინ-წინ, პოლიციის მე-9 ნაწილში მისულა მიხეილის ქუჩაზე მცხოვრები ექიმი გულიანცი და განუცხადებია, რომ მისმა მოსამსახურემ, ქუთაისის მაზრის სოფ. ნაფარევის მცხოვრებმა გალაქტიონ ბურჯანაძემ გაუპატიურა მისავე მოსამსახურე 12 წლის ქალი ნ. ბ—შვილისა. დამნაშავე შეიპყრეს და გარდასცეს გამომძიებელს.

✦ კბილის ექიმის ნიკოლოზ ხურავასათვის მის მოსამსახურეს, სამსონ ჯანიძეს, მოუპარავს ფულები და ოქროს ნივთები. ჯანიძე დაამატიმრეს; მას აღმოაჩნდა მოპარული ოქროს ბეჭედი და ფულად 23 მან. 50 კაპ., ჯანიძე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ გუშინ-წინ, 10 იანვრს, პოლიციის მე-9 ნაწილში მცხოვრებმა ექიმმა ყარამან ჩიქოვანმა განაცხადა პოლიციაში, რომ მისი მსახური ისიდორ კუპრაძე დროგამოშვებით ჰპარავდა თურმე მას ფულებს, ასე რომ სულ კუპრაძეს მოუპარავს 300 მან. კუპრაძე დაამატიმრეს და გამომძიებელს გარდასცეს.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, რიყის ქუჩაზე. 10 იანვარს ღამით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შეპარულან გორის მაზრის მცხოვრებ დავით ქობულაშვილის საეტლე ქარხანაში და გაუტანიათ 4 რწყვილი ეტლის თვლის შემოსაკრავი რეზინის რკალი ღირებული 343 მანეთათ. პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

ქუთაისის ახალი ამბები

— ქუთაისის სახაზინო პალატას განუზრახავს აგოს ქუთაისში საკუთარი შენობა და, როგორც გადმოგვცეს, საჭირო ადგილის შესაძენად და სახლის ასაშენებლად გამოუთხოვია 100,000 მანეთი. ამ ჟამად სახაზინო პალატას სახეში აქვს სახლის ასაშენებლად სამი ადგილი ბ. დ. ჩხიკვაძისა—გაზაკოვის ქუჩაზე, ბ. ინჯიას—გენერლის ქუჩაზე და ბ. პრინცისა, ოლდენბურგის ქუჩაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გადაუწყვეტია—რომლის შეძენა უფრო ხელ-საყრელი იქნება პალატისათვის. ამ წლიდან ქუთაისის სახაზინო პალატის მოხელეთა რიცხვი, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, უნდა შემცირდეს; სამაგიეროდ, განზრახვა აქვთ ჯამაგირი მოუმატონ ზოგიერთ მოხელეებს—ბუხჰალტერებს და სხვებს.

დაბა-სოფლები

იანეთი (ქუთაისის მაზრა). ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი სოფლის პატარა ქურდ-ბაცაცებმა ძლიერ გამოიღვიძეს და რამდენჯერმე კიდევაც სცადეს თავისი ბედი, რომ სადმე მსუქან ლუკმისთვის წაევლოთ ხელი. პირველად გასტეხეს მეჩექმე ი. კოპალეიშვილის დუქანი და, შიგ ფულად რომ ვერა იპოვეს-რა, ჩექმები და სხვა-და-სხვა ნივთები მოიპარეს რვა თუმნამდის ღირებული. აქედან ღამის რაინდნი შეიჭრნენ ლ. კოხრეიძის სამჭედლოში და ერთი ახალი თუნგი გაიტანეს. უთუოდ ქურდობა არ მოეწონათ, რომ ყაჩაღობას დადგნენ. ერთ მშვენიერ ღამეს ჩასაფრენ რკინის გზის ბაქანიდან ახლოს ს. დიდჯიხაიში მიმავალ შარა გზის ნაპირას და ელოდნენ, რომ ვინმე გზავრისათვის ყაჩაღური წესი აეგოთ. ჩქარა რკინის გზის ბაქნისკენ მიმავალი მგზავრი კ—ძეც გამოჩნდა; წინ გადუდგნენ და ფული მოსთხოვეს, მაგრამ მგზავრმა პასუხი დამბაჩით გასცა. საცოდავებს დამბაჩის ხმაზე გულები დაუსკდათ და იქვე ტყეში მიიმალნენ. ეტყობათ, ჩვენი სოფლის რაინდნი ეხლა ეჩვევიან ამ ხელობას! საჭიროა, ვიდრემდის დახელოვნდებიან, სოფელი კვალში ჩაუდგეს და დროით მოუღონ ბოლო, თორემ შემდეგში ძნელი იქმნება იმათი თავიდან მოშორება.

პატარძეული. 5 იანვარს აქაურ სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს 3 მოქმედებიანი პიესა „პეპო“ სუნდუკიანცისა. წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო, რადგან ბილეთების ფასი ძლიერ მცირე იყო. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა და ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა. მადლობის ღირსნი არიან ყველა მოთამაშენი, რომელნიც თავიანთ შრომას არ ზოგვენ და დრო გამოშვებით მართვენ წარმოდგენებს ჩვენს სოფელში.

დადგება თუ არა დღესასწაულები, ქალაქიდან მოეშურებიან მოსწავლეები სოფლისკენ, რათა დღესასწაულები გაატარონ თავიანთ მშობლებთან. აი ამ დღესასწაულებშიაც ჩვეულებისამებრ დაბრუნდნენ სახლში ორის კვირით დასასვენებლად, მაგრამ აქაც არ უნდათ სიზარმაცეში დალიონ დღენი. ყოველ დღე მიისწრაფიან წიგნთსაცავსამკითხველოსკენ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების წასაკითხად, მაგრამ... მაგრამ ისაა, რომ წიგნთ-საცავის კარები დაკეტილი ხვდებათ, რადგან წიგნთ-საცავის გამგე ყოველ დღესასწაულებში ტფილისის სტუმარია და წიგნთ-საცავის კარებს კი ობი ეკიდება. კარგს იზამდა წიგნთ-საცავის დამაარსებელი, რომ გამგეს დაუნიშნავდეს თანაშემწეს, რომ ამისთანა თავისუფალ დროს (როგორც მოსწავლეებისთვისაა) თანაშემწის წყალობით მაინც შეეძლოთ წიგნის მკითხველებს წიგნების კითხვა.

მინდორში თათრები არ გვაძლევენ მოსვენებას და სოფელში ღამის რაინდებმა დაიწყეს თარეშობა: ვის ინდოურებს ჰპარავენ, ვის ქათმებს, ვის ცხენს ძუა-ფაფარს ჰკრეჭენ და ათასს სხვა ბოროტ მოქმედებას იდენენ. სავეტკრებეც არ გაუშვეს უნიშნოთ. ერთს აქაურ მცხოვრებს 24 დეკემბერს მოჰპარეს თავლი და დაუზიანეს ქქვსი თვალი ფუტკარი საბოლოოდ. ეჭვი ისევ აქაურებზე მიიტანეს. ურიგო არ იქნება, რომ აქაური ადმინისტრაცია ენერგიულად მოექცეს ამ საზიზღარ მოქმედებას, რათა აღაკვეთნენ აქაური ღამის რაინდები.

ხონი. ხონში სასწავლებლებმა თითქოს იხარეს ძველი წლის წასვლა და სულ ლიტერატურული საღამოებით დაუხვდნენ ახალ წელს; ამასაც არ დაჯერეს, და ძველი წელი რომ მალე გასცლოდათ და ახალი კი მალე დამდგარიყო, სულ ფარნები გაუკეთეს გზებზე, რომ თავიანთი მგზავრობა მალე შეესრულებინათ. სწუხლმა ახალმა წელმა კი არ იცის, თუ ძველ წელს ხონის ქუჩების ტალახმა და რესტორანების ნაგავმა თავი მოაბეზრა და გაიქცა...

ლიტერატურული საღამოები სამჯერ ზედი ზედ იყო საქალაქო სასწავლებელში, ორჯელ მარიის სასწავლებელში და ერთხელ პროგიმნაზიაში. ამ საღამოებზე უმთავრესი ადგილი ეჭირა დასათ მობოდი ქართულ პატარა პიესებს, ლექსებს და სცენებს. ეტყობოდათ როგორც მათ უფროსებს, ისე მოწაფეებსაც ნამეტანი მოუნდომებიათ და ცდილან საზოგადოების დაკმაყოფილებას.

ნათლის ღებამდის წლევანდელი თოვლი რაფერისა იყო, აქ არავის უნახავს, მხოლოდ მერე დათოვა ბოტა, მაგრამ მასაც არ მისცა დიდი ხანი კარგმა დარმა.

რუსეთის ქრონიკა

⚜ უწმ. სინოდს წინადადება მიუცია ყველა საეპარქიო მმართველობათათვის გამოძებნონ საშუალებანი და მოუმატონ ჯამაგირები საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთ. მასწავლებელ მამაკაცს უნდა ეძლეოდეს წელიწადში არა ნაკლებ 300 მანეთისა, ქალს—არა ნაკლებ 120-სა.

⚜ გოგოლისა და ჟუკოვსკი საიუბილეო დღესასწაული დაიწყება მოსკოვში 21 თებერვალს, გოგოლის გარდაცვალების დღეს.

⚜ ვილნოში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების საკითხს სახელმწიფო საბჭო განიხილავს თებერვალში.

⚜ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, მთავრობას გადაუწყვეტია განიხილოს თეატრის შესახები კანონმდებლობა და შეიმუშავოს ახალი კანონები. მთავრობას განზრახვა აქვს შეკრიბოს მასალა სათეატრო საქმეების შესახებ, რისთვისაც მიმართავენ ყველა სათეატრო დაწესებულებათა და სცენის ცნობილ მოღვაწეთ.

პრესსა

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, რომ პეტდვითი საქმის უმთავრეს მმართველობის წევრად დაინიშნა ხერსონის ვიცე-გუბერნატორი თავ. ურუსოვი. ამის გამო ხერსონის გაზეთი „იუგ“ სწერს:

„საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ თავის სამსახურის დროს თავ. ურუსოვი პირადად იღებდა მონაწილეობას პუბლიცისტიურს მოღვაწეობაში და ძლიან კარგად იცის ის მძიმე პირობები, რომლებშიაც მოქმედობს პროვინციალური პრესსა. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ თავ. ურუსოვი დამცველი და მზრუნველი იქნება პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთობისა“.

* *

რუსული გაზეთები განუწყვეტლივ სჩივიან რუსეთის დეპეშათა სააგენტოზე. სააგენტო გზავნის უშინაარსო და, ხშირად, დამახინჯებულ ტელეგრამებს; ხშირად ისეთი დეპეშა მოდის, რომ სრულიად საზოგადო ინტერესს მოკლებულია; სამაგიეროდ ბევრჯერ საყურადღებო ამბებს არ გვაწვდის. საზოგადოთო, ამბობს გაზ. „პერმსკი ვედომ.“.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ტელეგრამები დაუსრულებელ კურიოზების კრებულია, რომელიც დიდ მასალას აძლევს «სტრეკოზა»-სა და სხვა იუმორისტიულს გამოცემებს, ავიღოთ, მაგალითად, 27 დეკემბრის დეპეშები. «ტიუმენი. სასტიკის ყინვის შემდეგ დათბა». ვისთვის არის საინტერესო ასეთი ცნობა? ეს ცნობა მხოლოდ ტიუმენის გაზეთში დასაბეჭდია, ისიც წვრილის ამბებით. შემდეგი დეპეშა: „გირინ. ვულოცავთ დღესასწაულებს ნათესავთა და ნაცნობთ. ყველანი კარგად ვართ. ბარონი შტეკელი, კოლენსი და სოლუნსკოვი“. ძალიან სასიამოვნოა, რომ ვიღაც შტეკელი, კოლენსი და სხვანი კარგად არიან; მაგრამ გვითხარით, ღვთის გულისათვის, ჩვენი რა საქმეა მათი ჯანმრთელობის ამბები ვიცოდეთ?! ნუ-თუ იმისთვის ვიხდით ფულს, რომ გვაწვდიდნენ სხვა და სხვა მოგზაურთა მოლოცვის დეპეშებ.“?!

ამგვარ სისულელესა და წვრილმანს ხშირად გვიგზავნის სააგენტო, ხშირად გაუგონია მას ამის შესახებ საყვედურები, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა: სააგენტო ყურსაც არ იბერტყავს და მხოლოდ იმის ცდაშია—მეტი სტრიქონი გამოგზავნოს და ამით თავიდან მოიშოროს თავისი ვალდებულება!..

თეატრი

ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ბენეფისი

დიდი ხანია არ გვინახავს ასე თანასწორ კმაყოფილი საზოგადოება ჩვენის მსახიობებით და მსახიობნი კი საზოგადოებით. გუშინ-წინდელ წარმოდგენას, ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ გამართულს, მართლა რომ

თით ჩაეტეოდა 17.000.000 ფუთამდინ ნავთი.

ამას გარდა ნავთი მიაქვთ აგრეთვე ჰურჭლებითაც—თუნუქის ყუთებითა და ბოჩკებით; უკანასკნელით—ნავთის მინერალური ზეთები. ამ ჰურჭლების დასამზადებლათ ქარხნებთან მოწყობილია ცალკე სახელოსნოები თუნუქისა და ხის ყუთების და ბოჩკების საკეთებელი. ყუთებით ნავთი მიდის განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც საურმე გზების უქონლობის გამო, წვრილ გზებზედ და მთის საცალფეხო ბილიკებით შეიძლება მხოლოდ ტვირთად გადატანა საქონლისა, ისიც პატარ-პატარა პარტიობით.

თუნუქის თითო ყუთში ისხმება მხოლოდ 36 გირვანქა ნავთი. ორი ასეთი ყუთი ინახება ხის ერთ ყუთში და ისე იგზავნება ბათუმიდან. ამგვარი გაზიდვა ე. ი. ყუთებით ითხოვს ჰურჭლების საკეთებლად სხვა-და-სხვა მასალას და ამ მასალის დიდძალათ დამზადებას. აი რა მასალაა საჭირო ამ ყუთების საკეთებლად:

1) ხის მასალა, ფიცრები—ნაძვისა: 2/3 ამ მასალისა მოდის ავსტრიიდან აგრეთვე ხერსონიდან და ნოვოროსიისკიდან; ამ ბოლოს დროს დიდძალი ფიცრები მოაქეთ აფხაზეთიდან, კოდორის მიდამოებიდან; 2) თეთრი თუნუქი—მოაქვთ ინგლისიდან; 3) ლურსმანი—პეტერბურგიდან და რიგადან; 4) კალა—ინგლისიდან და საფრანგეთიდან; 5) სინა (ყუთების ხელისათვის)—პეტერბურგიდან და რიგადან; 6) ცინკი ფურცლებად—რუსეთიდან; 7) ტყვია—ისპანიიდან და საფრანგეთიდან; 8) პრობკა—რუსეთიდან; 9) წითელი სპილენძი—რუსეთიდან და საფრანგეთიდან; 10) მარილის სიმჟავე და ცინკი—რუსეთიდან.

საინტერესოა, თუ რამოდენი იხარჯება ამ მასალებისა ყოველ წლიურად ბათუმის ქარხნებში საყოველთაოთ. ყველა ქარხნებში საშუალო რიცხვით ყოველ დღიურად კეთდება: 38,100 ხის და 76,200 თუნუქის ყუთი; ამას უნდა: ფიცარი 477 კუბიკური მეტრი, 5,533 ფუთი თუნუქი; 3,171 ფუთი კალა; 4,756 ფუთი ტყვია, 2061 გირ. მარილ სიმჟავე, 2,821 გირ. სინა, 15,240 გირ. ლურსმანი. ეს საშუალო მუშაობის დროს და როცა გაძლიერებული მუშაობაა, მაშინ ორჯელ მეტი იხარჯვის ყოველივე მასალისა.

მოვიყვანთ ცხრილს, რომლიდან მკითხველი დაინახავს, თუ რამდენი ყუთი გაკეთებულა 1896—1898 წლებში და რამდენი სხვა-და-სხვა მასალა დახარჯულა ზედ.

რომელ წელში.	რიცხვი გაკეთებული ხის ყუთებისა.	რიცხვი გაკეთებული თუნუქის ყუთები ა.	რაოდენობა დახარჯული მასალისა						
			ხის მასალა ფიცრები.	თეთრი თუნუქი.	კალა.	ტყვია	მარილის სიმჟავე.	სინა.	ლურსმანი.
			კუბ. მეტ.	ფუთი.	ფუთი	ფუთი.	ფუთი.	ფუთი.	ფუთი.
1996 წ.	11999681	22199367	138726	1594842	23087	34625	14986	20202	115435
1897 წ.	10275671	20551342	124446	1477105	21374	32061	13867	18703	106870
1898 წ.	11383388	22766776	142290	1637163	23678	35515	15367	20719	118390

ბოჩკების საკეთებლად დღეში იხარჯება საშუალო რიცხვით 2000 მუხის ფირფიტა, ორი ფუთი წებო, ორი ფუთი შემოსაკრავი რკინა და ორი ფუთი სხვა-და-სხვა საღებავი. 1896—1898 წლებში ყოველ-წლიურად კეთდებოდა 75000 ბოჩკამდის.

განუწყვეტლივ მუშაობის გამო ზემო ჩამოთვლილი მასალები ქარხნებში მუდამ დიდძალია დამზადებული. მცირე კომისიისაგან შეკრებილ ცნობებით საერთოთ ყველა ქარხნებში მუდამ ჟამს ინახება 1.020.114 ფუთ. თუნუქი; 8.888 ფუთ. კალა; 13.334 ფთ. ტყვია; სიმჟავენი—2.893 ფთ; 19.444 ფთ. სინა; 55.561 ფთ. ლურსმანი და 66.675 კუბიკ. მეტრი ფიცარი; ამ უკანასკნელი მასალის დამზადებულობა შემოდგომაზე მატულობს და ადის 126.350 კუბიკ. მეტრამდი.

ამ გვარი შეგროვება 200 რეზერვუარისა 20 მილიონ ფუთის ნავთით ამოდენა ხის მასალასთან ერთათ, ისიც ვიწრო ადგილზე, ქალაქის გვერდით და ციხის სიმაგრეების წინ, რასაკვირველია, ყოველთვის საშიშარი იყო და ამიტომაც აღძრა სამხედრო უწყებამ ლაპარაკი ამ საშიშარ მეზობლობის გაშორების შესახებ.

კომისია თავიდანვე იმის გაეცნო, თუ რამდენათ მართლა საშიშარი იყო ქალაქისთვისაც და ციხის სიმაგრეებისთვის ქარხნების არსებული მდგომარეობა და მდებარეობა. მცირე კომისიის აზრით, არსებით საშიშროებას წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო კეროსინის შეგროვება, როგორც ადვილათ ასაფეთქებელისა, და ხის მასალის დიდძალი საწყობები. თვით ეს ხის მასალის საწყობები იმდენს საშიშროებას არ წარმოადგენს, რომ ნავთის რეზერვუარების მეზობლათ არ ყოფილიყვნენ თავშეყრილი. ამის გამო მცირე კომისიამ საჭიროთ სცნო ახლანდელ ნავთის ქალაქის სულ სხვა გვარათ გაწესრიგება და მოწყობა.

საქმეს გააადვილებდა ქარხნების გადატანა და ძველ ადგილას რეზერვუარების აგება და ხის მასალის საწყობების გამართვა, მაგრამ კომისიამაც ეგ შეუძლებლათ დაინახა და აი რა მოსაზრებით.

ბ.

(დასასრული იქნება)

სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა: თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილი და სცენაზე კი ჩინებული თამაშობა, ხალხში აღტაცება—მსახიობთა შორის აღმაფრენა—უკეთესს რაღას ინატრებს ჩვენი თეატრის მოკეთე?!..

რაც შეეხება თვით პიესას,—„კიდევ ერთი მსხვერპლი“ ბ-ნ სუნდუკიანცის სახელს ვერც არას მოუმატებს, ვერც არას დააკლებს და უფრო დააკლებს, რადგან ამ მისს ნაწარმოებში ისევ ძველი ჰანგები გვესმის, სხვა პიესებში უფრო სხარტად და მკაფიოდ გამოთქმული; პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე მოქმედება მეტად გაჭიანურებულად და უმოძრაოდ გვეჩვენა და პიესის დასასრულში ანნას სულ-ხორცის მიხდილობა ხომ იმიტომ არის დასურათებული, რომ სათაური „კიდევ ერთი მსხვერპლი“ გამართლდეს... სწორედ ეს მსხვერპლი მთელს პიესაში არსად სჩანს და მისი ამ სახით აღნიშვნა ყალბი ტენდენციის ბრალია.

ამ გვარ ნაკლულევანებათა მიუხედავად ჩვენმა მსახიობებმა ცხოველი სული შთაბერეს ბ-ნ სუნდუკიანცის ნაწარმოებს და იქ, სადაც ავტორს ნიჭმა უმტყუვნა,—მსახიობების ხელოვნებამ წასცხო მადლი და ყალბი ადგილებიც კიააელფერა.

კარგა ხანია არ გვინახავს ასეთი დიად-მხატვრული გადმოცემა როლისა, როგორიც ბ-ნმა ვ. აბაშიძემ გუშინწინდელ წარმოდგენაში გვაჩვენა სერგეი ტარასიჩის (თოროზიჩ) დუხჭირ ადამიანობის გაპიროვნებით. თითოეული მისი სიტყვა, თუ მიხვრა-მოხვრა ჭეშმარიტი ზეშთაგონების იერით იყო აღბეჭდილი. არ გვახსოვს არც ერთი წამი, არც ერთი ადგილი, როდესაც დიადს ნიჭს და მაღალ ხელოვნებას, ამ მსახიობში შეერთებულს, ერთმანეთისათვის ეღალატნოთ... თვით სალოკი თითის ქნევაც-კი რაღაც გრძნეული ჰქონდა; ამ ქნევის დროს თითი თითქოს ორად, სამად იზრდებოდა და მთლად წალეკას უპირებდა იმას, ვისკენაც მუქარა იყო მიმართული.

ბ-ნ აბაშიძეს კვალდაკვალ მისდევდა მობენეფისე და ისინი, ვინც ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისას ერთფეროვანებას სწამებენ, სალომეს როლში რომ ენახათ, დარწმუნდებოდნენ, რომ ამ მსახიობის ნიჭი მარტო „ფროშარის“-ს და „ხანუმა“-ს ხელოვან ასრულებით არ შემოიფარგლება.

სასიამოვნო სანახავები იყვნენ ქ-ნი ტ. აბაშიძე და ბ-ნი შათირიშვილი ფუქსავატ და ქარაფშუტა და-ძმის ეპიზოდიურ როლში; მათმა ბუნებრივმა და მალხაზმა თამაშმა მესამე მოქმედების სხარტული გამომეტყველება უფრო ძალუმად გააცხოველა.

ბ-ნნი გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე და ურუშაძე ბანის მშვენიერი მთქმელნი გამოდგნენ, მხოლოდ ქ-ნი ლეჟავა მოისუსტებდა და ამ გარემოებამ გული დაგვწყვიტა. ეცადოს ახალგაზდა მსახიობი, რომ აღძრული იმედები გაგვიმართლოს და ამას ხომ შრომით და მუდმივი წრთვნით მიაღწევს.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. მობენეფისეს და აგრეთვე დანარჩენ მსახიობთ საზოგადოება აღტაცებით მიეგება. მობენეფისემ მრავალი საჩუქარი მიიღო.

მცირე შენიშვნა რეჟისორს: მესამე მოქმედებაში მილიონერ ვანო ბრილიანტოვის მოსართავ ოთახის მოწყობილებას დანჯღრეული კამოდი საშინლა აუშნოებდა.

ოპერა. 10 იანვარს კიდევ დადგეს „ევგენი ონეგინი“ მუსიკა ჩაიკოვსკისა. ხალხი ბევრი იყო, რადგან ამ საღამოს ტატიანას პარტის ასრულებდა ქ. ბრონსკისა. ოპერის მოყვარეთ შედარება უნდოდათ ქ. ბრონსკის მიერ ამ პარტიის ასრულებასა ქ. ინსაროვის ასრულებასთან. ვოკალურის მხრივ, რასაკვირველია, ბრონსკი ბევრით უკეთესი იყო ქ. ინსაროვისაზე, მეტადრე პირველ მოქმედების მეორე სცენაში და უკანასკნელ მოქმედების მეორე სცენაში. მაგრამ დრამატიულის მხრივ ზოგიერთ ადგილებში (პირველ მოქმედების მესამე სცენა და უკანასკნელ მოქმედების პირველი სცენა, ბალზე) ინსაროვისა უფრო შესაფერად თამაშობდა. შესანიშნავი ადგილი—წერილის წერა ონეგინთან სწორედ შექსპირის ჰამლეტის „ყოფნა არ ყოფნას“ ჰგავს. სხვა-და-სხვა ნაირად ასრულებენ ამ სცენას იმის მიხედვით, თუ მოთამაშეს როგორ ესმის ეს ადგილი. ქ. ბრონსკისა ონეგინის ცნობილ არიოზოს შემდეგ „Вы, мнѣ писали....“. ისეთ ნაირად გაჰყვა ონეგინს (კამიონსკი) ხელი ხელ გაყრილი, თითქო ონეგინს დასასჯელად მიჰყავსო. ეს ადგილი ცოტა უხერხული და ულაზათო იყო. საკვირველი იყო კამიონსკი. მშვენიერი არიოზო „Увы сомнѣнья нѣтъ“... სუსტად შეასრულა, მეტადრე მეორეთ. საზოგადოთ ისე ეჭირა თავი, თითქო კონცერტზეაო.

წესები

ბაღოსნობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის კურსებისა ქ. ტფილისს.

ამას წინად ჩვენ მოუყვანილი გვქონდა ამბავი, რომ ი. როსტომაშვილს ნება მისცეს დაარსოს ტფილისში კერძო სამეურნეო კურსები. მეტად არ მიგვაჩნია აქვე დავბეჭდოთ ის წესები, რომელიც ამ კურსებისთვის დაამტკიცა მიწად-მოქმედების სამინისტრომ 10 წარსულ ნოემბერს.

1) კერძო პრაქტიკულ სასოფლო-სამეურნეო კურსებს ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელსაც აარსებს ქ. ტფილისში ი. პ. როსტომაშვილი, აქვს მიზნად პრაქტიკულად გააცნოს მსურველთ სასოფლო-მეურნეობის მოხსენებულ დარგების გონიერად წარმოება.

2) კურსებზე მიიღებიან ახალგაზდა ყმაწვილები არა ნაკლებ 16 წლისა, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, რომელთაც კარგად ეცოდინებათ რუსული წერა-კითხვა. მოხსენებულ საგნებიდან მოსწავლეთ აქვთ უფლება ისწავლონ ყველა ანუ ერთი თუ რამდენიმე საგანი, მაგრამ სწავლის ფასი კი ერთი და იგივე უნდა გადიხადონ (§ 13). სწავლება ყველა საგნებისა სწარმოებს რუსულს ენაზედ.

3) კურსებზე მიიღება 40—50 მოსწავლე და ყველანი გარედან-მოსიარულენი უნდა იყვნენ.

4) სწავლა იწყება 15-ს მარტს და გაგრძელდება შეუწყვეტლად 15 ნოემბრამდის.

5) მასწავლებლად ინიშნებიან სპეციალისტები, რომელთაც მიუღიათ სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლება; ამ თანამდებობაში მათ ამტკიცებს მიწად-მოქმედების დეპარტამენტი კურსების დამაარსებლის წარდგენილობით.

6) სწავლა კურსებზე სწარმოებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა და სხვა უმთავრეს დღესასწაულებისა,—გაზაფხულსა და შემოდგომაზედ დილის $7^1/_2$ საათიდან შუადღის 1-დ საათამდის, ხოლო ზაფხულში—6-დან $11^1/_2$ საათამდის.

7) პრაქტიკული მეცადინეობა სწარმოებს ბაღში ანუ მინდორში, გარდა ავდრიან დღეებისა, როდესაც ავდრისა გამო შეუძლებელი იქნება ახდილის ცის ქვეშ მეცადინეობა; ასეთს დღეებში მეცადინეობა სწარმოებს ოთახში ანუ ფარდულის ქვეშ, სადაც მოსწავლენი ვარჯიშობენ მყნობაში წნორისა, ცაცხვისა და ალვის ხის ნორჩ ყლორტებზე, რომ ზედ-მიწევნით გაახვიონ ხელი და ანუ ამზადებენ მცენარეებისთვის შესადგმელ ჭიგოებს, ჯოხებს, მცენარეთ სახელების ფირფიტებს (იარლიგებს), რქებს, სკებს, სათიბე ჩარჩოებს და სხვ.

8) თავისუფალ დროს (სადილს მერე) მოსწავლენი ანდომებენ გაკვეთილების მომზადებას შინ და კითხვას სასოფლო-სამეურნეო შინაარსის წიგნებისას, რომლებიც მიეცემა მათ მასწავლებლისა ანუ თვით დამაარსებლისაგან კურსებთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო წიგნთ-საცავიდან.

9) საზოგადო თვალ-ყურის ჭერა მოსწავლეთა ყოფა-ქცევაზე და სწავლების წესიერად წარმოებაზედ სავსებით მინდობილი აქვს კურსების გამგეს კოლლეჟსკი სოვეტნიკს ივანე პავლეს ძეს როსტომაშვილს.

10) შესატყობად და დასაფასებლად იმის, თუ მოსწავლეებმა რამდენად რიგიანად შეითვისეს პრაქტიკულად და თეორიულად მოხსენებულნი დარგნი მეურნეობისა, წელიწადში ორჯელ გაიმართება გამოცდა მოსწავლეთა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელის თანადასწრებით კურსების შუა და ბოლო რიცხვებში (15-ს მკათათვეს და 15-ს ნოემბერს), რომელზედაც მოსწავლენი აასრულებენ სხვა და სხვა სამუშაოს და ახსნიან, თუ რისთვის სრულდება ესა თუ ის სამუშაო, რა მიზეზით ასე სრულდება და სხვ.

11) მოსწავლენი, რომელნიც კარგად გამოვლენ უკანასკნელს გამოცდაში (15-ს ნოემბერს), მიიღებენ მოწმობას კურსების გათავების შესახებ. მოწმობას ხელი უნდა ეწეროს კურსების გამგისა და სხვა მასწავლებლებისა. მოსწავლენი, რომელნიც კარგად ვერ გამოვლენ გამოცდაში და მოწმობას არ მიიღებენ, შეიძლება დარჩნენ მეორე წლისათვის, რათა უკეთ შეითვისონ მოხსენებულნი დარგნი მეურნეობისა.

12) უწყება კურსების მდგომარეობის შესახებ ყოველ-წლივ, 1-ს იანვარს, წარედგინება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში. იგი უნდა შეიცავდეს: ა) დროსა და № ნებართვის მოწმობისა კურსების დაარსებაზე, ბ) სახელსა და გვარებს მოსამსახურე პირთა, გ) მოკლე ცნობებს იმაზე, თუ რა ისწავლეს მოსწავლეებმა და დ) მთელს რიცხვს მოსწავლეთა, მათის წოდების, რჯულის და ხალხოსნობის ჩვენებით. მოხსენებულსავე დროს კურსების დამაარსებელი აცნობებს საგუბერნიო მთავრობას კურსებზე მოსამსახურეთა და მოსწავლეთა სახელ-გვარს იმავე ცნობებით (პ. დ.) და მოსწავლეთა ადგილ-სადგომებს.

13) ფასი მთელის კურსისა (სწავლისა)—80 მანეთია თვითოეულ მოსწავლეზე.

14) კურსებთან არსებობს დღიური ანუ საბადო დავთარი ჩასაწერად შესრულებულ სამუშაოთა.

15) ყურძნისათვის საჭირო მამული უნდა შეიცავდეს 5—10 დესეტინამდის მიწას. იგი გადაღებული იქნება გეგმაზე საკმაო ზომისა (სამო საჟ. დიუმში), რათა შეიძლებოდეს აღინიშნოს მასზე ყოველი სამუშაო და ცალკე ხეებიც კი. ამ მამულში უნდა გაიმართოს: 1) საკლასო ოთახი სასწავლო ნივთებისა და კოლლექციების დასაცველად, 2) სარაი. შესანახად იარაღებისა, სათიბელი ჩარჩოებისა და სხვ., 3) სარდაფი დასაცველად მცენარეთა, რქებისა, თესლეულობისა, მწვანილისა და სხვ., 4) დედა-ბაღი სხილე ბუჩქთა განოთვილებით, 5) ვენახი უკეთესი ჯიშის ვაზებით და უკეთესი ასხმის ნიმუშებით, 6) ბოსტანი სამის განყოფილებით—ერთ-წლოვანის მწვანილეულობით, მრავალ-წლოვანის მწვანილეულობით და სათესლე განყოფილებით, 7) სათბურები და სანერგეები, 8) საფუტკრე სხვა და-სხვა საუკეთესო სისტემის სკებით, 9) სადურგლე დაზგა რამდენიმე ხერხით, რანდით, ცულით, ჩაქუჩით და სხვა სკების საკეთებლად, 10) ნარევი და ნეხვის სასუქის გროვები ბაღის სხვა-და-სხვა ადგილას და 11) მცირე შენობა სამეტეოროლოგიო იარაღთა მოსათავსებლად (ტერმომეტრებისა, ქართ-მაჩვენებლისა, ბარომეტრისა და სხვ.).

16) კურსებს აქვს ბეჭედი ზედ-წარწერით: „კურსები ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობისა ივანე პავლეს ძე როსტომაშვილისა“.

დამაარსებელი სთხოვს სხვა რედაქციებსაც გადაბეჭდონ ეს წესები. თხოვნები კურსებზე მიღებაზე ვსთხოვთ გამოგზავნონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомову.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 იანვარი

პეტერბურგი. 10 იანვარს გაასვენეს და დაასაფლავეს გვამი სახელმწიფო საბჭოს გარდაცვალებულის წევრისა (?). ეკკლესიაში დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი და დიდი მთავარნი. მიც ვალებული დაასაფლავეს ისიდორეს ეკკლესიაში.

სარატოვი. ქალაქის მმართველობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ სარატოვში შემოტანილ საქონელს, მდ. ვოლგით ანუ რკინის გზით, გარდახდეს ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი.

ვარშავა. ვარშავა-ვენის გზამ შეუკვეთა ნახშირის საზიდავი ვაგონები; ეს ვაგონები ივლიან საზღვარ-გარეთულ და რუსეთის გზებზე.

პეკინი. ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის, პორტუგალიის და იაპონიის ახალმა ელჩებმა გადასცეს ჩინეთის მთავრობას რწმუნების ქაღალდები.

ბერლინი. იმპერატორმა მიიღო რუსეთის საზღვაო წარმომადგენელი, რომელმაც გარდასცა იმპერატორს რუსეთის ფლოტის მოხელეთა სია.

პარიზი. პალატამ მიიღო გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის მეცხრე მუხლი, რომლითაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ კათოლიკეთა მისიებს შორეულ აღმოსავლეთში. დელკასსე იცავს ამ მუხლს და მიჰმართავს პალატის პატრიოტიზმს, რომ შესაფერი რეზოლიუცია დაადგინონ. „შორეულ აღმოსავლეთში,—სთქვა იმან,—ჩვენა ვცდილობთ ფრანგული ენის გავრცელებას; ნუ დავიწყებთ, რომ სხვა ხალხიც ცდილობს შეასუსტოს ჩვენი გავლენა, მაგრამ ამაოდ: მოსწავლე ბავშვთა რიცხვი, რომლებიც ფრანგულ სკოლაში დადიან, თან-და-თან მატულობს. რომ ამ სკოლებმა ნამდვილად მიაღწიონ თავიანთ მიზანს, ამისთვის საჭიროა რამდენიმე მილიონი დაიხარჯოს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ხელმძღვანელი სარწმუნოებაა. საზღვარ-გარეთ აღტაცებაში მოვლენ, თუ რომ პალატა კომისიისაგან ნაჩვენებ შემოკლებას მიიღებს.“ ბიუჯეტის ყველა მუხლები მიიღეს.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 4-დან $2^1/_2$%-მდე.

კოპენჰაგენი. ელიან ხელ-შეკრულობის გათავებას დანიის ვესტ-ინდიის კუნძულების გასყიდვის შესახებ.

პარიზი. ჯავშნიან გემს „შარლემანს“ ებრძანა ტანჟერში წავიდეს.

მოსკოვი. 10 იანვარს დაიხურა ხირურგების კრება. შემდეგი კრება მოხდება 1904 წელს პეტერბურგში.

11 იანვარი

პეტერბურგი. ქალაქ სმარნაში შავი ჭირი გაჩენილა. ტელეგრამმა გენერალ გროდეკოვისა: „გირინი, 5 იანვარს. მე ვუბრძანე, რომ ამურის ოლქში სამხედრო დროის წეს-წყობილება მოისპოს“.

კალიში. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ივანე და ვოიცეხ ჩაიჩინსკებისა, კალინოვიჩისა და რიხტერისა, რომელთაც ბრალდებოდათ პრუსიის ჟანდარმის სასტიკად გალახვა, და გადაუწყვიტა ჩაიჩინსკებს და რიხტერს სატუსაღოში დაპატიმრება ერთის წლით, ხოლო კალინოვიჩი გაამართლა.

ტომსკი. გზათა მინისტრმა დაათვალიერა რკინის გზის სამმართველო. ქალაქის საზოგადოებამ სადილი გაუმართა მინისტრს. 10 იანვარს დილით მინისტრი წავიდა ანჟერის ნახშირის მადნები და იქიდან პირდაპირ პეტერბურგს გაემგზავრა.

ბაქო. XVI კრება ნავთის მრეწველთა დაიხურა.

მინუსინსკი. მინუსინსკის მუზეუმმა იდღესასწაულა თავის ოცდახუთი წლის არსებობა.

ლონდონი. გაზეთებს მოსწონთ კრანბორნის სიტყვა და ამბობენ: „ინგლისმა ნება არ უნდა მისცეს, რომ უცხოელებმა ზღვის სადგური გაიკეთონ ინდოეთის შესავალ კარებთან“.

კონსტანტინეპოლი. კოჩანის ოლქში, კოსოვის ვილაიეტში მოუხდათ შეტაკება ბოლგართ ოსმალოს ჯარებთან. მოკლულია ათი ბოლგარელი.

პარიზი. რკინის გზების უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს, პალატა ეთანხმება ბურრას წინადადებას, რომ გამოისყიდონ სამხრეთის რკინის გზები.

შეცდომის გასწორება. დილის დეპეშაში პეტერბურგიდან უნდა იყოს:... სახელმწიფო საბჭოს გარდაცვალებულის წევრის ფონ კაუფმანის გვამის დასაფლავება.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ხლ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

გერის მოედანზე, ყაფანთან

იყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი 40 კაპ.**

ტელეფონი № 754. (წ.).

პატივი გვაქვს ვაცნობოთ ქუთაისის გუბერნიის ვაჭრებს,

თანახმად მმართველობის განკარგულებისა, ტფილისში ჩამოსვლა და ღამის გათევა ქარვასლაში უპასპორტოთ

სასტიკად აღკრძალულია,

15 ამა იანვრიდან უპასპორტოთ ქარვასლაში მომსვლელის მიღება არ შეიძლება.

(5—1) გარს. რატიანი, ი. მაისურაძე.

მ. ა. ანანოვის ამერიკულ

ვაზების სანერგე

იყიდება **ამერიკულ ვაზის რიპარიას რქა** ათასი 8—10 მ., **რუპესტრის** ათასი 10—14 მ. სარგავი რქა ათასი 3 მან.

აქვე იყიდება სხვა-და-სხვა ზომის სადვინე ბოჩკები. იკითხეთ—რკინის გზის სადგურის ახლო მამული ა. ს. ანანოვისა.

(5—233—2)